



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 62
13/12/2019

62-04-4-201912131317



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 21.03.35.545) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს (როლანდი ბერიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების (ს/კ 21.03.35.545) - ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე 151 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ზე პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 49 წლის ვადით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რომან დავითაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

